პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 იანვარი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 13 (9674) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

SOS

გამოვიცხლდეთ!

ფიზკულტურასა და სპორტში, კარგად მოფიქრებული და ორგანიზებული ღონისძიებები ახალისებს და ალამაზებს ქალაქის ცხოვრებას. მაგრამ აი, ჩვენს ქალაქებში, თუ რაიმე დიდი სპორტული ღონისძიება არ ტარდება, თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარია, დასვენების დღეებში. მხოლოდ ყამიდან ყამამდე თუ მოეწყობა რაიმე მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება და ისიც მეტწილად მოვალეობის მოხდის მიზნით.

გამონაკლისს არც თბილისი წარმოადგენს. ერთადერთი, რაც დედაქალაქში ამ დღეებში ყურადღებას იქცევდა იყო მინიფეხბურთში რესპუბლიკური პირველობის მატჩები, რომლებიც სპორტის სახახლეში ჩატარდა. სხვა სპორტული ბაზები გამოკეტილი გახლდათ.

მასობრივი ღონისძიებები მეტწილად მხოლოდ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტსახკომის თაოსნობით იმართება. ინერტულობას იჩენენ პროფკავშირული სპორტული საზოგადოების ორგანიზაციები, პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტები, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მეურნეობის სამინისტროს და განათლების სამინისტროს შესაბამისი რგოლები, „შრომითი რეზერვები“, სხვა სპორტული საზოგადოებები, უწყებები და ორგანიზაციები. ჩვენ საკმეს სხვა ზომ არ გააკეთებს, რაც გვეკალება და რასაც ვემსახურებით, რატომ არ ვასრულებთ კეთილსინდისიერად?

ქვეყნის სხვა ქალაქებში შაბათს და და კვირას უამრავი მასობრივი ღონისძიება ტარდება, რომლებშიც მოსახლეობა ხალისით მონაწილეობს. ჩვენთან კი შრომით კოლექტივებს შორის მეგობრული შეხვედრებიც მიივიწყეს. შესაძლებლობები და რეზერვები გამოუყენებელი რჩება. დიახ, დასვენების დღეებში თბილისში ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება ჩამკვდარია. რატომ? პასუხს ამ კითხვაზე არავისგან არ მოვითხოვთ. მომავალ შაბათ-კვირას თავად ვეწვევით სპორტულ ბაზებს და პასუხსაც იქ მივიღებთ.

თბილისი გუნდმა „ვერამ“ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა მინიფეხბურთელთა რესპუბლიკურ ტურნირში საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პრიზზე (იხ. მე-3 გვ.).

სურათზე: გამარჯვებული გუნდი. (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო).

ელვა-ინფორმაცია

თბილისში დამთავრდა არმიელ სპორტსმენთა საკავშირო პირველობა ფარიკაობაში. საერთო გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს მოსკოვის წარმომადგენლებმა. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე შესაბამისად ლენინგრადისა და ბელორუსიის არმიელი მოფარიკაველები გავიდნენ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის რაპირისტთა ნაკრებმა გუნდმა ამ ასპარეზობაში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის
პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილეები

ნანა ალექსანდრია

ნანა ალექსანდრიას (დაიბადა 1949 წლის 13 ოქტომბერს) პრეტენდენტთა ასპარეზობებში მონაწილეობის უმდიდრესი გამოცდილება აქვს: იგი ჯერ კიდევ 18 წლისა იყო, მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეჯიბრებებში რომ ჩაება. ამ პერიოდისთვის ნიჭიერმა ქართველმა ქალიშვილმა უკვე მოასწრო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვება და საერთაშორისო ტურნირებში თამაში. უკვე 1971 წლისთვის ნანა მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლებოდა. ამ წელს მან ჯერ საზონათშორისო ტურნირში გაიმარჯვა, მოიგო პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩიც, მაგრამ დამარცხდა ფინალში. მისი წაგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჭადრაკო ჟურნალმა „შახმა“ იმით ახსნა, რომ ნანას სულ მალე ელოდა „დედობის განცდის სიხარული“.

დაიწყო მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის ახალი ციკლი. მასში ნანა ალექსანდრიამ, რომელსაც უკვე არაერთი წლის განმავლობაში წვრთნიდა ცნობილი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, თამაშის უმაღლესი კლასი აჩვენა. ჯერ იყო და 1973 წელს ქართველმა მოჭადრაკემ მენორკას (ესპანეთი) საზონათშორისო ტურნირში II-V ადგილები გაიყო, 1974 წლის დასაწყისში კი კისლოვოდსკში დამატებით მატჩ-ტურნირში დამჯერებლად დაიკავა I ადგილი. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ალექსანდრია ისევ გახდა მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი. დაიწყო პრეტენდენტთა ასპარეზობა. აქ ნახევარფინალურ მატჩში ნანამ მარტა შულს (ლიტინსკაიას) მოუგო 5,5:2,5, ხოლო ფინალურ მატჩში მძაფრი ბრძოლის შემდეგ — ირინა ლევიტინას (9:8).

1975 წელს ბიჭვინთასა და თბილისში გაიმართა მსოფლიო პირველობის ისტორიაში პირველი „ქართული მატჩი“ ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის. იგი, როგორც ცნობილია, მაშინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო, მაგრამ ნანა ალექსანდრიამ ნონას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იმ პერიოდისთვის უდავოდ მსოფლიოს № 2 მოჭადრაკე იყო.

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გამოცდა

დასასრული

ტოქეები მეტს თუ არა, ჩვენზე ნაკლებს არ ვარჯიშობენ. ხოლო ჩვენი მთავარი უპირატესობის, ქართული ჭიდაობის გამოყენება თავისუფალ ჭიდაობაში უფრო ნაყოფიერად შეიძლება. მხედველობაში მაქვს ფეხის ხმარების უფლება.

— ვერ დაგეთანხმებით. კაცი, რომელსაც ქართველი მოჭიდავე ჰქვია, ერთნაირი წარმატებით იჭიდავებს კლასიკურ ჭიდაობასაც, თავისუფალსაც და ძიუდოსაც. თქვენ ის უნდა იკითხოთ, საიდან ვიღებთ ნაკრებში შევსებას. აღმოსავლეთ საქართველო ფაქტობრივად არაფერს გვაძლევს, თუ ახლომახლო რაიონებს, მარტყოფს და სართიჭალას არ მივიღებთ მხედველობაში. გურჩება დასავლეთი: ქუთაისი, ბათუმი... ამასთან, თბილისში ჩამოსულ მოჭიდავეს ვეღარ „გადაკეთებ". რომელი ჭიდაობაც დაუწყია, იმას უნდა გაჰყვეს. საბოლოოდ კი ის გამოდის, რომ მოჭიდავეთა რაოდენობა ნაკრების შესარჩევად სასურველზე გაცილებით მცირეა.

⊙ ვარჯიშზე რას იტყვით? იმასაც კი გაიგონებთ, ჩვენი მოჭიდავეები ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები არიანო. ხიზარმაცეს თავი დავანებოთ, მაგრამ ნიჭს ჩვენ დროში უფრო „ჩაგრავს" სიბეჯითე. მეტოქემ მხოლოდ იმიტომ შეიძლება წაგაქციოს, რომ უბრალოდ, შენზე უკეთ არის მომზადებული. ხომ არ ჩამოვრჩით სხვებს ვარჯიშის მეთოდიკაში?

— მართალი გითხრათ, თავიდან, ნაკრებში რომ მოვედი, ბიჭების ვარჯიშში რაღაც-რაღაცები არ მომეწონა. არ დაგავიწყდეთ, აქტიურ სპორტს 1984 წელს ჩამოვცილდი და ქვეყნის ნაკრების წვრთნა ჯერ კიდევ კარგად მახსოვდა... თუ რა გავაკეთეთ, ამის შესახებ ბევრს არ ვილაპარაკებ, მაგრამ ახლა შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს გუნდი სხვებზე ნაკლებ ინტენსიურად და ნაყოფიერად არ ვარჯიშობს. ამის მისაღწევად ბევრი სიძნელის გადალახვა დაგვჭირდა.

⊙ კი მაგრამ, ახე მოკლე დროში მოჭიდავის შეცვლა ოღლი საქმე არ ჩანს, შემგუებლობის უნარს ვგულისხმობ.

— ამ ჩემპიონატამდე ოთხი საწვრთნელი შეკრება ჩავატარეთ. თავიდან, ვინც გაზრდილ დატვირთვას ვერ უძლებდა, ექიმის კონტროლით, ინდივიდუალური წესით ვამეცადინებდით, რათა სხვებს დაწეოდა. შემადგენლობაც ნაწილობრივ შევცვალეთ. ახლა ვფიქრობ, გუნდი ურიგოდ არ არის მომზადებული, თუმცა ყველაფერი შეჯიბრებაზე გამოჩნდება.

⊙ მაინც როგორ მოხდა, რომ გუნდში გახული წლების ჩემპიონებმა მოიყარეთ თავი?

— ეს ჩემი სურვილი იყო. ჯერ ერთი, ჩემი თაობის ხალხია, იმედი მქონდა, კარგად ვიმუშავებდით ერთად. გარდა ამისა, ისიც მეტად მნიშვნელოვანია, ვარჯიშზე მსოფლიო ჩემპიონი რომ გადგას თავზე, ამით სპორტსმენს, მით უმეტეს ახალგაზრდას (გუნდში კი ძირითადად ახალგაზრდები გვყავს), პასუხისმგებლობაც უმატება და მოგდომებაც. თავიდან, უფროს მწვრთნელად რომ დამნიშნეს, გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ ამის გამოც არ არის, რომ ერთი დიდი სურვილი გამიჩნდა: სპორტსმენებისთვის გადამეცა, ჩამენერგა პირველ ყოვლისა ის დამოკიდებულება, განწყობა, რომელსაც ვიჩენდი ვარჯიშისადმი და შეჯიბრებებისადმი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მას ვარჯიშის მეთოდიკასავით, დრო ვერ ცვლის.

⊙ მონდომებულ მწვრთნელს რა სჯობია, მაგრამ გამოცდილებასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?

— მართო ჩვენზე ხომ არ არის საქმე? ხომ ხედავთ, ვარჯიშზე რამდენი ცნობილი სპეციალისტი ტრიალებს, გუნდის გამოცდილი მწვრთნელები არიან ილია ჩხარტიშვილი, აკაკი თავართქილაძე, ომარ ბლიაძე, ჯემალ მეგრელიშვილი, სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი — პროფესორი გივი რატიშვილი და თანამშრომელი ბორის ჩაჩანაშვილი. ჩვენს გეგმას ერთად ვათანხმებთ და კორექტივებიც შეგვაქვს.

⊙ ჩამოთვლილთაგან ბევრი ქვეყნის წინა ჩემპიონატისათვის სამზადისში მონაწილეობდა. თუ ხედავენ ისინი სხვაობას ჩვენი მოჭიდავეების იმდროინდელ და ახლანდელ მზადყოფნას შორის?

— ხედავენ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, არც ჩვენი მეტოქეები სხედან უქმად. კლასიკური ჭიდაობა კლასიკური ჭიდაობაა და ყველგან მდიდარი ტრადიცია აქვს. თბილისში ძალიან ძნელი ბრძოლები გველის.

⊙ რას ნიშნავს ქვეყნის ნაკრების გეგმით ვარჯიში?

— იმას, რომ ოლიმპიური გუნდის ყველა კანდიდატს წლის განმავლობაში ყოველი დღე და ყოველი საათი გაანგარიშებული აქვს, როგორც, მაგალითად, გურამ გედეხაურს. და მაინც მინდა ვთქვა, რომ ნაკრებში მისულ მოჭიდავეს უკვე შეუძლია მსოფლიო ჩემპიონი გახდეს ამ გუნდის მწვრთნელთა დაუხმარებლად.

⊙ თუკი ახლა, ხომ შეიძლება ვარჯიშის ჩვენი, ჩვენთვის გამოსადეგი მეთოდიკა გვქონდეს, რომელიც შეიძლებოდა დაგვეპირისპირებინა საერთოდ აღიარებული ნაკრების წვრთნის სისტემისათვის?

— ეს უიმედო საქმეა. ნაკრებისათვის იმდენი ექიმი და სამეცნიერო ჯგუფი მუშაობს, რომ ჩვენი შესაძლებლობებით მათ რა მეტოქეობა უნდა გავუწიოთ?

⊙ თუ შეიძლება გაგვაკანით ჩვენი გუნდის შემადგენლობა.

— სამწუხაროდ, ისევ ძველი ისტორია უნდა გავიმეოროთ. ათიდან ხუთ წონაში, 48,52,57,68 და 82 კილოგრამ წონით კატეგორიებში კაცი არ გამოგვყავს და აქ წინასწარვე გვიწერია ნულები. ამიტომ დანარჩენ ხუთში დიდი შრომა მოგვიწევს. 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ქუთაისელი ვასილ ონიანი, 74-ში — ბათუმელი ჯემალ ბაკურიძე, ისიც საერთაშორისო კლასის ოსტატია და თბილისელი კობა ოჩიგავა. 90-კილოგრამიან კატეგორიაში საკმაოდ ცნობილი მოჭიდავეები გამოგვყავს: მარტყოფელი ზაურ ივანაშვილი, ბათუმელი თენგიზ თეოდორაძე და ქუთაისელი გიორგი კოღუაშვილი, 100 კილოგრამში — მსოფლიო ჩემპიონი სართიჭალელი გურამ გედეხაური, ქუთაისელი უშანგი თევდორაძე, ზაზა ჩიკვილაძე და შესაძლებელია, ნაიბი დვალაძეც. ორივე თბილისელია. 100 კილოგრამზე მძიმე წონაშიც თბილისელების ვასილ ქარსელაძისა და ზაურ ცხადაძის იმედად ვართ. როგორც ხედავთ, გუნდში სულ თორმეტი კაცია, რომელთაც შეიძლება ბეგი დარჩიაც დაემატოთ. ყველა მათგანმა საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლის უფლება პერსონალურად მოიპოვა.

⊙ ძირითადად რა საერთო ნაკლს ამჩნევთ თქვენს მოწაფეებს?

— როგორც ყველა ქართველ მოჭიდავეს, მათაც უჭირთ ჩოქჯენში ჭიდაობა, თუმცა ეს უფრო შედარებითია, ზოგს რა უჭირს, ზოგს რა.

⊙ ამას წინათ მოაწყვეთ საინტერესო შეხვედრა კლასიკური ჭიდაობის ვეტერანებსა და თქვენს გუნდს შორის. ახეთი ღონისძიება მისასალმებელია და მან, უეჭველია, თავისი როლი შეასრულა ახალგაზრდა მოჭიდავეების ფსიქოლოგიურ განწყობაში მაინც. მაგრამ გამხნევება საქმის მარტო ერთი მხარეა. ხომ შეიძლება იმ ხალხის მდიდარი გამოცდილება გამოიყენოთ გუნდის წევრების ცალკეული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ძველი მოჭიდავეებიდან ზოგი დგომში ჭიდაობდა კარგად, ზოგი — ჩოქჯენში, ან ორივეში და ა. შ.

— შემიძლია გითხრათ, რომ ყველა ძველ „კლასიკოსს" თავისი სამუშაოს გარდა საქართველოს ნაკრების ბედიც აინტერესებს. ამიტომ შეძლებისდაგვარად ხშირად გვაკითხავენ ხოლმე. რასაკვირველია, მაშინ უფრო მოდიან, როდესაც ჩვენ ვთხოვთ და გვეხმარებიან. მაგრამ სასურველია, რომ ასეთი კავშირი უფრო გაღრმავდეს.

⊙ შეიძლება თუ არა, ჩვენს დროში მსაჯების არაობიექტურობა იმ ზომამდე მივიდეს, რომ მთელი გუნდის შედეგზე იმოქმედოს?

— ახლა ოლიმპიური წელია და მსაჯობა ძალიან მკაცრი იქნება. ვის უნდა, რომ ნაკრებში სუსტი მოჭიდავეები მოხვდნენ. ჩემპიონატის წინ თბილისში მსაჯთა სემინარი ტარდება და ვიცი, ამის შესახებ ყველას მკაცრად გააფრთხილებენ.

⊙ და ბოლოს, უკანასკნელი შეკითხვა: კლასიკური ჭიდაობა საქართველოში მაშინ უფრო პოპულარული იყო თქვენ რომ ვარჯიში დაიწყეთ, თუ ახლა?

— სხვაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ შეჯიბრებების სიღარიბე აშკარად თვალში საცემი გახდა. 1980 წლის შემდეგ საქართველოში ერთი რიგიანი ტურნირი არ ჩატარებულა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებსა და ძიუდოისტებს რა უჭირთ, თავიანთი საერთაშორისო ტურნირები აქვთ, განა დასაშვებია, რომ ჩვენს მაყურებელს აფხაზავას ან ყაზარაშვილის ჭიდაობა ხვირიანად არ უნახავს? ასეთ პირობებში როგორ გინდა კლასიკური ჭიდაობის პოპულარობაზე ილაპარაკო? ნაძალადევი არც ერთი სპორტი არ ვარგა, ბავშვმა თუ დიდი ტურნირები არ ნახა, ძნელად გაუღვივებ კლასიკური ჭიდაობის სიყვარულს. მოკლედ, ჩვენი, ყველა „კლასიკოსის" სახელით ვამბობ, დიდი თხოვნა გვაქვს, რომ თუნდაც ორ წელიწადში ერთხელ ჩვენში რაიმე მნიშვნელოვანი ტურნირი ჩატარდეს კლასიკური სტილის მოჭიდავეებისათვის.

ესაუბრა **ბიორგი ჩოჩიშვილი.**



ჩემპიონატის კალენდარი

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის 17-ე ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში 30-31 იანვარს ტარდება თბილისის სპორტის სახასლეში. ჭიდაობის ეროვნული გავაკეთრთ ტურნირის კალენდარს:

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. წონასწორ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲝᲜᲔᲑᲘ: 48, 62 და 90 კგ წონებში.

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. წონასწორ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲝᲜᲔᲑᲘ: 52, 74 და 100 კგ წონებში.

29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. წონასწორ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲝᲜᲔᲑᲘ: 57, 62, 82 და 130 კგ წონებში.

[illegible] ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. [illegible] ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲝᲜᲔᲑᲘ: 48, 62 [illegible] 90 კგ [illegible] კატეგორიებში.

[illegible] ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. [illegible] ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲬᲝᲜᲔᲑᲘ: 52, 74 [illegible] 100 კგ [illegible].

[illegible] ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. [illegible] 57, 68, 82 [illegible] 130 კგ [illegible].

[illegible] ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲠᲘᲗ [illegible] და 17 [illegible]

მოგება ხალიჩაზე და ...ტრიბუნაზე

კლასიკური ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მაყურებლებს საინტერესო ბრძოლების გარდა თბილისის სპორტის სახასლეში სხვა სახეობანი სიურპრიზებიც ელით, ჯერ ერთი, ყოველდღე გათამაშდება ავტომობილი „ეიგული" და არა მარტო ურიგოდ შეძენის უფლება, სპორტულ ლატარიაში შეტანილია ფეხბურთის ათი ბურთიც. თუ სპორტის სახახლის ტევადობას გავითვალისწინებთ, აშკარად ჩანს, რომ მოგების შანსი იზრდება. გარდა ლატარიისა, თბილისის სასპორტო მაღაზიები სახახლის ფოიეში სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის გამოფენა-გაყიდვას მოაწყობენ. ახე რომ, შესვენებაზე მაყურებელი დროს უქმად არ დაკარგავს.

ნორჩები — ტყის ბილიკებზე

სპორტული ორიენტირება ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე პოპულარული ხდება. დღეს სპორტის ამ სახეობით სამ მილიონამდე ადამიანია გატაცებული. ასეთი მასობრიობა გასაგებიცაა. სპორტული ორიენტირება ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამასთან, მას გამჯანსაღებელი და სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს. ამიტომაცაა, რომ სპორტული ორიენტირება ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაშიც დიდად პოპულარული ხდება და ახლა აღარავის უკვირს კომპასითა და რუკით ტყის ბილიკებზე მოსასპარეზე სპორტსმენთა სიმრავლე.

ამას წინათ კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ქუთაისში, მდინარე ლასკურას თვალწარმტაც ხეობაში ჩატარდა სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის, სპორტის ოსტატის კონსტანტინე ასტახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური ასპარეზობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის I და II, ქუთაისის, ლაგოდეხისა და პროფკავშირების სპორტსაზოგადოების გუნდები, რომელთა შემადგენლობაში 15 წლის ასაკამდე 4-4 გოგონა და ბიჭი გამოდიოდა.

სპეციალისტებს ფავორიტებად თბილისის I, II და ქუთაისის გუნდები მიაჩნდათ, რაც შეჯიბრების მსვლელობამაც დაადასტურა.

ასპარეზობის პირველ დღეს, ავდარში, გოგონები 3, ხოლო ვაჟები 3,5-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. მონაწილეებს შესაბამისად, 6 და 9 საკონტროლო პუნქტი ჰქონდათ მოსაძებნი.

გოგონათა შორის გაიმარჯვა ქუთაისელმა ლიანა ღიბრაძემ, რომელმაც 48 წუთით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ქეთევან ბაქრაძეს (თბილისი I). მესამე ადგილზეც ლიანას თანაგუნდელი მაკა იჩქიტიძე გავიდა.

ვაჟთა შორის საპრიზო სამეულა ასე განაწილდა: დავით გოგავა (თბილისი I), ლევან ველიაშვილი (ქუთაისი), ლადო ლეკბორაშვილი (თბილისი II).

ასპარეზობის მეორე დღესაც განუწყვეტლივ წვიმდა. ასეთ ამინდში სამსაათიანი პაექრობა ნორჩი სპორტსმენებისაგან მართლაც დიდ ვაჟკაცობას მოითხოვდა. თანაც დისტანცია გაცილებით რთული (3,5 კმ და 7 საკონტროლო პუნქტი გოგონებისთვის, 4,5 კმ და 9 პუნქტი ვაჟებისათვის) იყო, მაგრამ შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობამ თავი არ შეირცხვინა. ვაჟთა შორის დავით გოგავამ (თბილისი I) გაიმარჯვა, გოგონათა შორისაც მისმა თანაგუნდელმა ზეინაბ გორგოძემ იმარჯვა.

მეორე ადგილებზე მაკა იჩქიტიძე და ლადო ლეკბორაშვილი გავიდნენ, ხოლო მესამეზე — ქეთევან ბაქრაძე (თბილისი I) და ნიჭიერი ლაგოდეხელი სპორტსმენი ოლეგ ბლინოვი.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ ქუთაისელმა სპორტსმენებმა იმარჯვეს. მათ გაცილებით ფრთხილად გაიარეს ეს რთული დისტანცია, გუნდის თითოეულმა წევრმა შეძლო კოლექტივისთვის ჩათვლის მიცემა მაშინ, როცა თბილისის ორივე გუნდის რამდენიმე წევრმა დისტანცია ვერ დამთავრა.

II-III ადგილებზე თბილისის I და II გუნდები გავიდნენ. მეოთხე ადგილი ლაგოდეხელებმა დაიკავეს.

დასანანია, რომ ამ საინტერესო და საჭირო შეჯიბრებაში გუნდების გამოყვანა ვერ უზრუნველყვეს აფხაზეთისა და გორის განათლების განყოფილებების მესვეურებმა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების ქუთაისში ჩატარება ალპინიზმისა და სპორტული ორიენტირების გაერთიანებული საქალაქო ფედერაციის (თავმჯდომარე სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ახვლედიანი) ზრუნვის შედეგად გახდა შესაძლებელი. მისი დახმარებით დამზადდა ქუთაისის შემოგარენის პირველი სპორტული ფერადი რუკა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ტარტუს უნივერსიტეტიდან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით შედგენილია და მალე დაიბეჭდება სათაფლიის ნაკრძალის, მუხნარის აგარაკისა და რუას ხეობის ფერადი რუკები, რაც სპორტული ორიენტირების განვითარებას ხელს შეუწყობს და ამ რუკების წყალობით აქ საკავშირო შეჯიბრებების ჩატარება შესაძლებელი გახდება.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.

ქუთაისი.

ᲔᲚᲩᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

— **შარშანდელ საფეხბურთო სეზონზე ძვირი არ გვეთქმის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, მსაჯობის დონე დაქვეითდა. — მსაჯთა საკავშირო თათბირზე განაცხადა საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსმა ვ. კოლოსკოვმა. — ვგულისხმობ იმ უხეშ შეცდომებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს რამდენიმე მატჩის შედეგზე.**

ამიტომ წარიმართა ახე მწვავედ და უკომპრომისოდ ეს თათბირი, რომელზეც მსაჯთა საკავშირო კოლეგიის ხელმძღვანელების მისამართით გამოითქვა ბევრი კრიტიკული შენიშვნა.

არბიტრები ცვლილებების მომხრენი არიან

კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევნებმა ცხადყო, რომ საფეხბურთო თემიდან მსახურნი ხერხოზული ცვლილებების მომხრენი არიან. პრეზიდიუმში ყოფილ არბიტრებთან ერთად აირჩიეს მოქმედი არბიტრებიც. მათ შორის, ა. ბოგომაზოვი, ა. გორინახი, ვ. ეუკი, ა. ბარიშნიკოვი, ვ. ფილიპოვი და ს. ჰუსაინოვი. ეს უკანასკნელი არჩეულია მსაჯთა კოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად. მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარედ აირჩიეს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ა. სპირინი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. ახლახან ჩატარდა სარაიონო პირველობა 64-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში, რომელიც ორწრედ მოეწყო, ზესტაფონის რაიონის ათმა უძლიერესმა მოშაშემ მიიღო მონაწილეობა. 14 ქულით რაიონის ჩემპიონი ტრესტ „ზესტაფონგაზის" ტექნიკური კაბინეტის გამგე გიორგი ნებიერიძე გახდა.

სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება

პრობლემები, სირთულეები...

ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი გარდაქმნები მიმდინარეობს, ფართო ასპარეზი მიეცა ინიციატივას, სამეურნეო უნარის გამოჩენის თვისებებს, თვითდაფინანსებამ მოიცვა ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო. სპორტი, როგორც საბჭოთა ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, აგრეთვე, აქტიურად ეაადგა გარდაქმნის გზას, წელიწადზე მეტია დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, რომ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს უნარი შესწევთ გადავიდნენ მთლიან სამეურნეო ანგარიშზე. დისკუსიაში მონაწილეობენ სპორტული ხელმძღვანელები, ეკონომისტები, მწვრთნელები, ფეხბურთელები. პირველი გუნდი, რომელიც სრულ თვითდაფინანსებაზე გადავიდა, არის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ექსპერიმენტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს კიევის „დინამომ“, ერევნის „არარატმა“, ლენინგრადის „ზენიტმა“ და სხვა კლუბებმა.

გარდაქმნები, კერძოდ, თვითდაფინანსებაზე გადასვლა მეტად სერიოზული მოვლენაა საბჭოთა ფეხბურთში. ცხადია, საქართველოს ოსტატთა გუნდებმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სადღეისო გარდაქმნებში, მით უმეტეს, რომ ჩვენში ფეხბურთი უყვარს ყველას — დიდსაც და პატარასაც.

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ კარგა ხანია აქვეყნებს მასალებს ჩვენს ფეხბურთში მომხდარ სიახლეებზე, ამ საკითხზე წერილები დაიბეჭდა 16 იანვრის ნომერშიც.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. სისოევი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ სპორტსაზოგადოებამ 20-იან წლებში შეიმუშავა პრინციპები, რომლებიც კარგად მიესადაგება დღევანდელ მოთხოვნებს. „დინამო“ ფაქტიურად საკავშირო სამეურნეო სპორტული ორგანიზაციაა, რომელიც სრულ თვითდაფინანსებაზე იმყოფება, „დინამოს“ საწარმოები ამზადებენ სპორტულ ფორმას, ინვენტარს, სუვენირებს, მოწყობილობას და ა. შ. საკითხავია — საჭიროა თუ არა ასეთი ვითარებაში დინამოელთა ცალკეულმა კოლექტივებმა, რომლებიც საერთო მექანიზმის ნაწილს წარმოადგენენ, დამოუკიდებელ არსებობაზე იფიქრონ? ჩვენ განვიხილეთ კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის ვ. ლობანოვსკის წინადადებანი ამ საკითხზე და დავასკვენით, რომ მასში გათვალისწინებული არაა საქმის მრავალი ძირეული ასპექტი. ვ. ლობანოვსკი გვთავაზობს შეიქმნას სახელფასო და პრემიალური რესურსები მოთამაშეთა ძირითადი ჯგუფისა და კლუბის შტატის მუშაკთათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში როგორ უნდა დაწყდეს სათადარიგო შემადგენლობისა და მოზარდთა სპორტსკოლების საკითხები? ვის ბალანსზე იქნება კიევის „დინამოს“ სტადიონი და სპორტული ბაზა ქალაქგარეთ? ჩვენმა ფინანსისტებმა გამოითვალეს, რომ ამ შემთხვევაში დეფიციტი დაახლოებით მილიონ მანეთს მიაღწევს. ვინ აანაზღაურებს ამ დოტაციას?

გაურკვეველი საკითხები საკმარისადაა. ზრუნვა მხოლოდ იმაზე, რომ გაუმჯობესდეს მოთამაშეთა და მწვრთნელთა მატერიალური მდგომარეობა, საკითხს ვერ გადაწყვეტს, საჭიროა კომპლექსური მიდგომა. ჩვენი მწვრთნელები და ფეხბურთელები მეტს ლაპარაკობენ მატერიალურ ანაზღაურებაზე და ნაკლებს — თამაშის კლასის ამაღლებაზე, ყოველდღიურ, თავდაუზოგავ შრომაზე, წვრთნის მეთოდების გაუმჯობესებაზე. „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოში დარწმუნებული არიან, რომ ეს სამეურნეო სპორტული ორგანიზაცია მისი წესდების შესაბამისად სადღეისო პირობებში ფართო სამოქმედო ასპარეზს ქმნის უკლებლივ ყველა საფეხბურთო კოლექტივისთვის.

მოსკოვის ფეხბურთისა და ჰოკეის კლუბის „სპარტაკის“ დირექტორი ი. შლიაპინი აღნიშნავს იმ სირთულეებს, რომლებსაც წააწყდნენ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა თვითანაზღაურების პრობლემებთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ დასადგენია რა ქვეგანაყოფები შედიან მოსკოვის „სპარტაკის“ კლუბის შემადგენლობაში. ძირითადი შემადგენლობის, გარდა არის სათადარიგო გუნდი, ჭაბუკთა მოსამზადებელი სკოლა, „სპარტაკის“ საწვრთნელი ბაზა მოსკოვის მახლობლად, საფეხბურთო მანეჟი უშუალოდ ქალაქში, მათი შენახვა, რემონტი და, საერთოდ, მოწესრიგება კი დიდ თანხებს მოითხოვს. პრობლემაა თუნდაც ის, რომ მოსკოვის „სპარტაკმა“ 1987 წელს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი მოიპოვა, მაგრამ ვერ შეასრულა თავისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, რაღა უნდა ქნან მათ, ვინც გათამაშების ცხრილის ბოლოშია მოქცეული?

თავისი ბიუჯეტის შევსების იმედებს მოსკოვის „სპარტაკი“ ამყარებს კლუბის ატრიბუტიკის დამამზადებელი კოოპერატივების შექმნაზე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი გასაღება გაძნელდება თუ გუნდმა კვლავ მაღალ დონეზე არ ითამაშა. შემოსავალი შეიძლება გაიზარდოს იმ ფირმებისგან, რომლებიც „სპარტაკის“ სიმბოლიკის გასაღებას ისურვებენ.

ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი ს. არუთინიანი წერს, რომ ეკონომისტთა გამოანგარიშებებმა დაადასტურეს „არარატის“ სრულ თვითდაფინანსებაზე გადასვლის შესაძლებლობა. აქ გათვალისწინებულია გუნდის მატჩებზე ბილეთების გასაღება, ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის საწევრო ანარიცხები, „ნაზდანის“ სტადიონზე ლატარიის შემოსავალი, მოეწყობა გულშემატკივართა სპეციალური [illegible] [illegible] ოტეკ [illegible] ებს ახლა განიხილავენ ხელმძღვანელი ორგანოები და თუ [illegible] ფერი დადებითად გადაწყდა, 1988 წლიდან „არარატი“ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავა.

ერთი სიტყვით, გარდაქმნის რთული პროცესები მრავალ პრობლემას წამოჭრის, სამეურნეო მოღვაწეობის პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს ბევრი საზრუნავი მოსდევს, საჭიროა გამოიძებნოს ახალი ფორმები, ახალი მეთოდები. აქ ბევრი რამაა დამოკიდებული გულშემატკივრებზეც, რომელთა აქტიური თანამშრომლობისა და მონაწილეობის გარეშე საქმის წარმატებით გადაჭრა წარმოუდგენელია. ამიტომაცაა, რომ საფეხბურთო მეურნეობის ანგარიში ჯერჯერობით ვერაა ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

ცალკეული კლუბების საქმიანობა ერთ მთლიან კომპლექსში უნდა გაერთიანდეს, საჭიროა ჩვენი კლუბების აქტიური ურთიერთკონტაქტები, ურთიერთხელშეწყობა.

სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსმა ვ. კოლოსკოვმა აღნიშნა, რომ ფეხბურთში ახალი მეთოდებით საქმიანობის წინადადებები განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო ორგანოებს. ყველამ, ვისაც კი ეს საკითხი ეხება, თავისი აქტივობით ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ფეხბურთი **ფეხბურთი**

მზადებას გადიან

1988 წლის საფეხბურთო სეზონისთვის ინტენსიურად ემზადებიან საქართველოს ოსტატთა გუნდები. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები მზადების პირველ ეტაპზე დაბა ლესელიძეში იმყოფებიან. დინამოელები 24 იანვრის შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან და თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობენ ერთკვირიან წვრთნას.

1 თებერვლიდან თბილისის „დინამო“ კვლავ ეწვევა ლესელიძეს და გააგრძელებს სასწავლო-საწვრთნელ პროცესს. 12 თებერვალს გუნდი ალჟირში მიეგზავრება, სადაც რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს. დინამოელები თბილისში 27 თებერვალს დაბრუნდებიან.

ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდი ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაგრის მახლობლად სოფ. ალახაძის „დინამოს“ სპორტულ ბაზაზე გადის, შემდგომ მზადებას ლანჩხუთელები ურეკში განაგრძობენ. ლანჩხუთის „გურიიდან“ ხარკოვის „მეტალისტში“ გადავიდა მცველი რომანჩუკი, გუნდი დატოვეს ჩხაიძემ, იმნაძემ, კოპალეიშვილმა, თევზაძემ, მეგრელაძემ, კონდრატიევმა და ძმებმა კაპანაძეებმა. „გურიაში“ თამაშის სურვილი გაანცხადეს ნ. კაკილაშვილმა, მ. ყორდანიამ, ა. ანდღულაძემ, გ. გოგრიჭიანმა, გუნდში მზადებას გადიან სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებიც.

ბათუმის დინამოელები ახალი სეზონისათვის ბათუმში, ადგილობრივ ბაზაზე ემზადებიან. გუნდი შრშანდელი შემადგენლობით აგრძელებს წვრთნას, ბათუმის „დინამოდან“ თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს თ. კიკლიაშვილი.

21 იანვრიდან ლესელიძეს ეწვევა და ორკვირიან შეკრებას გაიკლის ქუთაისის „ტორპედო“.

საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთში

ბანგკოკი. ტაილანდის დედაქალაქში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. რსფსრ-ისა და დანიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბონი. კიევის დინამოელებმა ამბანგური საერთაშორისო შეხვედრა მოუგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ნიურნბერგს“ — 1:0.

საქართველოს ჩემპიონატი მინიფეხბურთში

ფელსაც ვერელები...

დამთავრდა რესპუბლიკის ჩემპიონატი მინიფეხბურთში. ამ საინტერესო შეჯიბრების დაგვირგვინება, რაღა თქმა უნდა, ფინალური შეხვედრა იყო. უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატების

ტურნირის საუკეთესო მეკარე, გაზეთ „ლელოს“ პრიზის მფლობელი ლ. მაყაშვილი.

ზოგიერთი გუნდი ვერ დაიტრაბახებს მაყურებელთა ამ დასწრებას, რაც ამ უკვე ტრადიციად ქცეულ ჩემპიონატზე იყო და გულშემატკივრები გაწბილებული არ დარჩენილან. პირველი მატჩიდან დაწყებული ფინალური შეხვედრის ბოლო წუთამდე ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ იმისათვის, რათა სასახლეში მოსული გულშემატკივრებისათვის თავიანთი თამაშით სიამოვნება მიენიჭებინათ.

მაგრამ სანამ ფინალურ მატჩზე გესაუბრებოდეთ, გვინდა ნახევარფინალურ მატჩებზე მოგითხროთ. თბილისის „ვერა“ ნახევარფინალში რუსთავის გუნდს შეხვდა. რესპუბლიკის ჩემპიონმა თამაშის პირველივე წუთებზე გოლის გატანა შეძლო, მალე რუსთაველელებმა საპასუხო ბურთი გიტანეს. მთელმა პირველმა ნახევარმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, მეორე ტაიმში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ვერელთა გუნდის ვეტერანმა ზ. გომართელიმ ზუსტად დაარტყა მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში და ამ ეფექტურმა გოლმა არსებითად გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. შემდგომში რუსთაველებს უწინდელი წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ, რესპუბლიკის ჩემპიონმა გაიმარჯვა — 4:1 და ფინალის საგზური მოიპოვა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს დიდუბისა და საბურთალოს გუნდები შეხვდნენ. ქალაქის ჩემპიონმა — „საბურთალომ“ მეორე ნახევრის მე-10 წუთისთვის უკვე 2 ბურთით შეძლო დაწინაურება (ორივე ბურთი ქავთარაძემ გიტანა). 35 წუთისთვის დიდუბელებმა შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება, მაგრამ დარჩენილ დროში მეტი ვერაფერი გააკეთეს.

17 იანვარს სპორტის სასახლემ ფინალურ შეხვედრებს უმასპინძლა. პირველად გაიმართა მატჩი III-IV ადგილებისთვის. რუსთაველები ამ მატჩში უფრო მომზადებული ჩანდნენ, თანაც დიდუბელებს რამდენიმე ძირითადი მოთამაშე აკლდათ. ყველაფერმა ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. რუსთავის გუნდმა გაიმარჯვა (5:4) და მესამე ადგილს დაეუფლა. ამ შეხვედრაში რუსთაველმა მ. ბოლქვაძემ „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა.

ფინალურმა მატჩმა გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია, თვით ფინალმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან დაზვერვის გარეშე დაიწყეს თამაში. მე-5 წუთზე გ. ომიაძის ძლიერ დარტყმას აკრობატული ნახტომით იგერიებს ვერელთა მეკარე. წუთის შემდეგ საბურთალოელთა კარის დარაჯს ლ. მაყაშვილს მთელი თავისი ოსტატობის

ფინალური შეხვედრის მომენტი: მარცხნივ — ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე ზ. გომართელი, მარჯვნივ — გათამაშების ბომბარდირი ი. ქავთარაძე.

ჩვენება მოუხდა გ. ჭყონიას დარტყმული ბურთის მოსაგერიებლად, საერთოდ, ორივე მეკარე ტოლს არ უდებდა ერთმანეთს ოსტატობაში. თამაშის მე-10 წუთზე ვერელთა გუნდის დისპეტჩერი ზ. გომართელი ზუსტ პასს აძლევს უმეთვალყურეოდ დარჩენილ მ. ოჩერაშვილს, ეს უკანასკნელიც ძლიერი დარტყმით ხსნის ანგარიშს. შემდეგ ი. ქავთარაძემ და გ. მელაშვილმა ვერელთა კარში ორი ბურთის გატანა შეძლეს, პირველი ნახევარიც ამ ანგარიშით დამთავრდა. მეორე ტაიმში ვერელებმა უფრო მობილურად დაიწყეს თამაში. მე-40 წუთზე კვლავ მ. ოჩერაშვილი ათანაბრებს ანგარიშს. ყველა დამატებით 11-მეტრიან დარტყმებს ელოდა, თითქოს, ფეხბურთელებიც შეურიგდნენ საყაიმო ანგარიშს. 44-ე წუთზე ზ. გომართელი უმეთვალყუროდ რჩება მეკარის პირისპირ მოატყუა იგი, დაარტყა და მცველს ისღა დარჩენოდა, ხელით შეეჩერებინა ბურთი. 11-მეტრიანი დარტყმა მ. ოჩერაშვილმა უნაკლოდ შეასრულა. ეს უკვე მეორე „ჰეთ-თრიკი“ იყო ორ ფინალურ შეხვედრაში. დარჩენილ წუთებში საბურთალოელთა ცდას შეეცვალათ ანგარიში შედეგი არ მოჰყოლია. ვერელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს — 3:2 და რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო სახელი შეინარჩუნეს. ვერის გუნდი ჩემპიონატისთვის მოამზადეს ო. გიგოლაშვილმა და ზ. სტეფანიშვილმ.

გამარჯვებაში ყველას თანაბრად მიუძღვის დამსახურება, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვერელთა გუნდის ვეტერანის ზ. გომართელის კარგი თამაში. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედაც სწორედ ის აღიარეს.

„ლელოს“ პრიზი საბურთალოელთა კარის დარაჯს ლ. მაყაშვილს გადაეცა, საუკეთესო მცველად რუსთაველი ტ. წოკლაური მიიჩნიეს. შეჯიბრებას ორი ბომბარდირი ჰყავს: ოქროსუბნელი ი. გრძელაშვილი და საბურთალოელი ი. ქავთარაძე. მათ ანგარიშზე 12-12 გატანილი ბურთია. ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი ქუთაისელთა კარის დარაჯს მ. ალფაიძეს გადაეცა, ხოლო მაყურებელთა სიმპათიის პრიზი — ლაგოდეხელ ნ. ჯაფარიძეს.

სპორტის სასახლეშივე გაიმართა პირველი ფინალური შეხვედრა „ავჭალურში“. შეჯიბრების პირველი გამარჯვებული ნორჩი დინამოელი მერაბ თეთრაძეა — 110 აკენწვლა. მეორე ადგილზე სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლე ირმა მერაბიშვილი გავიდა, მესამეზე — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი როსტომ ოსაშვილი.

ზაზა ძახაძე.

„ავჭალურში“ პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული მერაბ თეთრაძე და მეორე პრიზიორი ირმა მერაბიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დარჩა თითო მატჩი

გასულ შაბათს და კვირას ჩატარებულმა მატჩებმა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში გარკვეული სიცხადე შეიტანა.

მოსკოვი. ტურის და ალბათ მთელი ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა იყო ორი მუდმივი მეტოქის ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისის“ შეხვედრა. ამ მატჩის შედეგს მოუთმენლად ელოდნენ სპეციალისტები, ელოდნენ მას თვით მოთამაშეებიც, რომლებსაც ფინალში თამაშის უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდათ და ამდენად ფსიქოლოგიური „ტვირთისგან“ გათავისუფლებულნი იყვნენ.

შეხვედრა მართლაც დაძაბული გამოდგა, ოღონდ პირველ ოც წუთში, რამდენადმე შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და ბრძოლა ფრედ — 38:38 დამთავრდა. მაგრამ აქვე გაირკვა, რომ არმიელებს რეზერვის საქმე უკეთ აქვთ, ყოველ შემთხვევაში შესვენების შემდეგ ძალები უფრო შემოინახეს და საბოლოოდ 14 ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს — 81:67.

მაგრამ ასეთ პრინციპულ მატჩში გამარჯვების შემდეგ გარკვეული დეპრესიის პერიოდი დგება. ცსკა-ს განწყობილება მეორე დღეს ასე თუ ისე გასაგები იყო. გუნდმა თავის ძველ და ყველაზე საშიშ კონკურენტს დაუტოვა, რომ დღესდღეობით უკეთესია მომზადებული და უფრო რეალურ ძალას წარმოადგენს. ახლა ამოსუნთქვაც შეიძლებოდა, ფსიქოლოგიური „ტაიმ-აუტის“ აღება...

თუმცა არმიელებმა, როგორც ჩანს, ვერ განსაზღვრეს სწორად სატურნირო კონიუნქტურით შექმნილი ვითარება და მეორე დღეს ვილნიუსის „სტატიბასთან“ სათამაშოდ მშვიდად და დაჯერებულად გამოვიდნენ. „სტატიბა“ კი სწორედ ის გუნდია, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს საშიშ ზონას და რომელსაც შემადგენლობაში ჰყავს ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო, ყველაზე ტექნიკური მოთამაშე მარჩიულიონისი. სწორედ მარჩიულიონისის მაღალ ოსტატობას უნდა მივაწეროთ ის, რომ მოსკოვის არმიელებმა ამ სეზონში პირველი დამარცხება იწვნიეს, თანაც 28 ქულის სხვაობით — 69:97.

შაბათ-კვირის სხვა ორი მატჩი ამ ჯგუფში ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 119:93 (60:44), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი) 100:84 (44:45).

ტალინი. თბილისის „დინამო“ შაბათს ლენინგრადის „სპარტაკთან“ დამარცხდა 75:106 (46:57), კვირას კი მან ადგილობრივ „კალევს“ ხელმეორედ აჯობა 74:70 (36:37). 11 გამარჯვება ფინალის ნაღდ საგზურს იძლევა (ზოგ გუნდს შესაძლოა 10 გამარჯვებაც ეყოს)



ამ ჯგუფში პირველი დღის წარუმატებლობის შემდეგ (ლენინგრადის „სპარტაკთან“) დონეცკის „შახტიორმა“ ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო: ჯერ ტალინის „კალევს“ აჯობა 78:68 (38:39), მერე კი ნევისპირულებთან რიგაში აიღო 69:63 (61:61, 39:31). როგორც ხედავთ გამარჯვებული ამ მატჩში დამატებით ხუთ წუთში გამოვლინდა.

მინსკი. ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგნენ რიგის ვეფ-ისა და კიევის „სტროიტელის“ ლიდერები ვალტერსი და ბელოსტენნი. მათი თამაში გუნდებს უდაოდ დაეტყო. ვეფ-მა შაბათს მორიგი გამარჯვება მოიპოვა კიევის არმიელებთან — 91:90 (49:48). აი „სტროიტელს“ კი, თქვენ წარმოიდგინეთ ვერც ბელოსტენნიმ უშველა. იგი დამარცხდა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტთან 70:73 (41:46). სამაგიეროდ „სტროიტელმა“ მეორე დღეს გამოიჩინა თავი და რიგის კალათბურთელები დაამარცხა 83:78 (40:36).

წარმატებით ატარებს ბოლო ტურს ბელორუსიის გუნდი. კვირას მან რიგის არმიელთა კოლექტივსაც აჯობა 84:71 (44:32).

გუშინ თბილისის „დინამო“ განმეორებით შეხვედრაშიც დამარცხდა ლენინგრადის „სპარტაკთან“ — 58:99.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა, 18 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	21	20	1	1971-1600	41
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	21	17	4	1940-1715	38
რტი (მინსკი)	21	11	10	1679-1658	32
„დინამო“ (თბილისი)	21	11	10	1836-1952	32
„სტროიტელი“ (კიევი)	21	11	10	1727-1753	32
„დინამო“ (მოსკოვი)	21	10	11	1824-1753	31
„შახტიორი“ (დონეცკი)	21	10	11	1658-1731	31
ვეფ (რიგა)	21	10	11	1817-1898	31
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	21	9	12	1626-1671	30
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	21	7	14	1767-1834	28
„კალევი“ (ტალინი)	21	5	16	1619-1742	26
ასკ (კიევი)	21	5	16	1685-1842	26

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისა და პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილე

ნანა ალექსანდრია

დასასრული

ჩვენს დროში, როცა ნონა გაფრინდაშვილის მაგალითით გამხნევებული ახალი საჭადრაკო ტალანტები „სოკოებივით იზრდებიან“, დამარცხებული პრეტენდენტისთვის მეტად ძნელია ავანსცენაზე დარჩენა. ნანა ალექსანდრიამ, ამ მხრივ, ერთგვარი სპორტული გმირობა ჩაიდინა. სულ მცირე ხნის შემდეგ, გამოიჩინა რა უმტკიცესი ხასიათი, მან ისევ განაცხადა პრეტენზია მსოფლიო ჩემპიონობის გვირგვინზე. ამჯერად მისი მფლობელი უკვე სხვა იყო — მაია ჩიბურდანიძე. ეს ციკლი, სპეციალისტების აღიარებით, ნანამ ბრწყინვალედ წარმართა. მან მატჩები მოუგო ელენა ახმილოვსკაიას, მარტა ლიტინსკაიას და ნანა იოსელიანს, რითაც უკვე მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლება. ეს იყო ჭადრაკის ისტორიაში მსოფლიო პირველობის მესამე „ქართული მატჩი“. როგორც მაია ჩიბურდანიძემ, ისე ნანა ალექსანდრიამ 1981 წლის ამ დაუვიწყარ ორთაბრძოლაში თამაშის უმაღლესი კლასი აჩვენეს, ხოლო შედეგი საყაიმო იყო: 8:8!

გადის წლები, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი კი კვლავინდებურად მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. იგი პრეტენდენტთა ასპარეზობის ორ უკანასკნელ ციკლშიც მონაწილეობდა 1986 წელს მალმეში (შვეცია), სადაც პრეტენდენტთა ადრინდელი მატჩების ნაცვლად პირველად ჩატარდა ორწრიანი ტურნირი, გამოჩენილი ქართველი დიდოსტატი სულ ახლოს იყო მიზანთან, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯი დააკლდა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. საბოლოოდ ნანა მალმეში II ადგილზე გავიდა. ერთადერთი ნუგეში ის იყო რომ ალექსანდრიას მიეცა უფლება ყოველგვარი შესარჩევი შეჯიბრებების გარეშე ეთამაშა პრეტენდენტთა ახლანდელ ტურნირში.

ნანა ალექსანდრია უწინდებურად დიდი შემართებით თამაშობს. იგი თავიდანვე ცდილობს მეტოქე აიძულოს თავდაცვაზე იზრუნოს. თავისი დიდი კომბინაციური ტალანტის წყალობით ნანა მეტად მახვილგონივრულად აწარმოებს იერიშს. მას ფართო საჭადრაკო ერუდიცია, ენდშპილში თამაშის მაღალი ტექნიკა აქვს. ბოლო წლებში პრეტენდენტთან თანამშრომლობენ ცნობილი თეორეტიკოსი და მეთოდისტი მარკ დვორეცკი და დიდოსტატი ვიქტორ გავრიკოვი.

ნანა ალექსანდრიას ახლანდელი რეიტინგი 2415-ია. შარშან იგი საერთოდ ცოტას თამაშობდა. I ადგილზე გავიდა აზიის ქალთა საერთაშორისო ტურნირში და ბილის (შვეიცარია) საჭადრაკო ფესტივალის ქალთა ტურნირში, მონაწილეობდა აგრეთვე იუგოსლავიელ მოჭადრაკე ვაჟებთან მატჩში. იმის გამო, რომ პრეტენდენტთა ასპარეზობაში თამაშის უფლება ნანას პერსონალურად ჰქონდა მოპოვებული, მას შეეძლო წყნარად მომზადებულიყო წყალტუბოს ტურნირისთვის.

როგორი პერსპექტივები აქვს ნანა ალექსანდრიას პრეტენდენტთა ახლანდელ ტურნირში? იგი უდავოდ I ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება, ისევე, როგორც მალმეში თუ მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლის ყველა სხვა ციკლში.

„დიდი ხუთეული“ იწყებს

16 იანვარს, თვის მესამე შაბათს, დაიწყო ზამთრის სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო შეჯიბრება — რეგბისტთა ხუთი ერის ტრადიციული პირველობა. შეჯიბრებაში, რომელიც დასაბამს 1910 წლიდან იღებს, უკვე 59-ედ მონაწილეობენ ინგლისის, საფრანგეთის, შოტლანდიის, უელსისა და სრულიად ირლანდიის მოყვარულ რეგბისტთა ნაკრები გუნდები.

პირველ ტურში შარშანდელი ჩემპიონები — ფრანგი რეგბისტები პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ინგლისის საგრძნობლად გადიხალისებულ გუნდს მასპინძლობდნენ. ბრიტანელებმა, რომელთაც ახალი მწვრთნელები — ჯეფ ქუქი და როჯერ ათლი უდგანან სათავეში, შეხვედრის პირველ 65 წუთში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე. ტანმაღალი სქენერი და ორვინი ერთთავად ეუფლებოდნენ აუტიდან მოწოდებულ ბურთს, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუნდში დაბრუნებული ნახევარმცველები — ქასვორსი და მელვილი კი თამაშში ხშირად რთავდნენ ბრიტანელთა ტექნიკურ სამმეოთხედელებს. ფრანგ ბეროს მიერ მატჩის დასაწყისში შეგდებულ საჯარიმოს ინგლისელთა მცველმა ვებმა და 34 წლის ქასვორსმა ორი საჯარიმოთი და არეკნით უპასუხეს და გუნდი დააწინაურეს — 9:3, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ფრანგებმა ძალა მოიკრიბეს: ჯერ იყო და, ისევ ბერომ შეაგდო საჯარიმო; შემდეგ მცველ ბლანკოს გარღვევა როდრიგესმა ლელოს გატანით დაგვიგვანა. საბოლოოდ, გაიმარჯვეს ფრანგებმა — 10:9 (3:3). მატჩს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო.

დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე“, ირლანდიისა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრაში გატანილი ყველა გოლი უკანა ხაზების მოთამაშეებზე მოდის. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ (ორჯერ — 10 ქულითაც: 10:0 და 16:6) და საბოლოდ გიმარჯვეს კიდეც — 22:18 (10:6). გამარჯვებულთაგან ლელო გაიტანეს მალინმა, მაქნილმა და ბრადლიმ, ქირნანმა კი საჯარიმო, არეკნი და ორი რეალიზაცია შეაგდო. შოტლანდიელთა მცველმა გ. ჰესთინგსმა ზუსტად დაარტყა ორ-ორი საჯარიმო და რეალიზაცია, ლელო კი ლედლოუმ და ს. ჰესთინგსმა გაიტანეს.

მეორე ტურში, რომელიც სამი კვირის შემდეგ, 6 თებერვალს გაიმართება, ინგლისელები უელსელებს უმასპინძლებენ, შოტლანდიელები — ფრანგებს.

დანინაურდა ანდერსონი

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც როგორც თქვენთვის ცნობილია მონაწილეობენ მსოფლიოს ექსჩემპიონები ანატოლი კარპოვი და მიხეილ ტალი.

7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით დაწინაურდა შვედი ულფ ანდერსონი. ანატოლი კარპოვი 4,5 ქულით მეორე ადგილზეა.

მიხეილ ტალსა და ჰოლანდიელ ვან დერ ვილს 3,5-3,5 ქულა აქვთ.

კალგარი-88 ოლიმპიური კალეიდოსკოპი

◎ **ამ დღეებში** გამოცხადდა, რომ კალგარის ოლიმპიადის შემდეგ სპორტულ კარიერას დაასრულებენ შვედი თომას ვასბერგი და იტალიელი მაურილიო დე ზოლტი — მსოფლიოს ჩემპიონები და თხილამურების აღიარებული ოსტატები.

◎ **შვეიცარიის** მოთხილამურეთა უფროსი მწვრთნელი ჟან გიდონი სულ მუდამ თავის აღსაზრდელებთან ერთადაა ტრასაზე. ნორვეგიაში საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნის დროს გიდონმა თხილამურებით 600-მდე კილომეტრი დაფარა.

„სპორტლოტო“

გუშინწინ გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, მესამე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 8 (ტრეკზე ველოსრბოლა), 20 (აფროსნობა), 24 (ხელბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი), 38 (მთამსვლელობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 12 (ტანვარჯიში), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 24 (ხელბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 36 (ხატვრული ტანვარჯიში).

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 19 იანვარი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 19.15 (2).

საქართველოს ტელევიზია. 19 იანვარი. ჭიდაობა — გუშინ, დღეს, ხვალ — 18.40; სპორტული პროგრამა — 19.25.

ბროვარის რინგზე

უკრაინის ქალაქ ბროვარში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა 1972–1973 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მოკრივეთა შორის. ასპარეზობაში ქვეყნის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლებისა და სპორტული სკოლა-ინტერნატების 250-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას 14 მოკრივე იცავდა. საუკეთესოდ ჩაატარეს ბრძოლები და პირველი ადგილები დაიკავეს თბილისელმა შალვა შამოიანმა (44 კგ, „შრომითი რეზერვები)“ და ქუთაისელმა მიხეილ კაპატაძემ (63 კგ, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება). მეორე ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონი არმენ გევორქიანი (46 კგ), მესამეზე — ალბერტ ბეგიევი (50 კგ) და ჯურხა წიკლაური (66 კგ) — ყველა „შრომითი რეზერვები“, თბილისი.

კარგად იასპარეზეს აგრეთვე ფოთელმა პაატა გვასალიამ (46 კგ), თბილისელმა რობერტ მატოიანმა (57 კგ), ქუთაისელებმა მათე კოღუაშვილმა (54 კგ) და ზაალ ჯავახაძემ (54 კგ).

— თქვენი მოკრივეები, რომლებიც ფაქტიურად დიდი რინგის დებიუტანტები არიან, ამ შეჯიბრებაზე ცუდად არ გამოიყურებოდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი წარმატებით იასპარეზებენ როსტოვის რინგზეც, სადაც ნოემბერში ქვეყნის პირველობა გაიმართება ჭაბუკთა შორის — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ვლადიმერ ენგიბარიანმა.

დავით ქავთარაძე,
რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05140

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.